საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№ 7 პერიოდული გამოცემა
2014 წ. 1 ივლისი – 31 აგვისტო

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი ივლისისა და აგვისტოს თვეების საქმიანობას ასახავს. მოცემულ პერიოდში 13 რეკომენდაცია და წინადადება გავეცით შესაბამის უწყებებს, 7 საკანონმდებლო ცვლილება განვიხილეთ და წარვუდგინეთ საქართველოს პარლამენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს.

თუმცა, ყველაზე მთავარი ალბათ, საქართველოს პარლამენტში 2013 წლის ანგარიშის განხილვა იყო. განსაკუთრებულად მინდა ყურადღება გავამახვილო პლენარულ სხდომაზე ანგარიშის განხილვაზე, რამაც ცხარე კამათის, პოზიციათა დაპირისპირების ფონზე ჩაიარა. დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და ინსტიტუტებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის მსგავსი დებატები უდავოდ სასარგებლოა. თუმცა, ძალიან სამწუხაროა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ბოლომდე ვერ, ან არ აცნობიერებს სახალხო დამცველის რეალურ როლს და არასამართლიანი კრიტიკით ცდილობს არაობიექტურად წარმოაჩინოს ოფისის საქმიანობა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სახალხო დამცველისგან ითხოვენ პოლიტიკური შეფერილობის მქონე განცხადებების გაკეთებას და სხვადასხვა ფაქტების თაობაზე წინასწარ, უმწიფარ შეფასებებს. მსურს ცალსახად განვაცხადო, რომ ნებისმიერი მსგავსი მოლოდინი გარდაუვალი იმედგაცრუებით დასრულდება, რადგან ჩემ გუნდთან ერთად მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, პოლიტიკური ძალების შესაძლო გავლენებისგან თავისუფალ გარემოში, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული დებულებებისადმი ერთგულების გზით განვახორციელოთ სახალხო დამცველისთვის კანონით მინიჭებული უმთავრესი ფუნქცია. სხვა მხრივ უცხო არასდროს ყოფილა და არც მომავალში იქნება ჩემთვის სამართლიანი კრიტიკა, რომელ-

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო საქმიანობა 7
6. ივლის-აგვისტოს მნიშვნელოვანი მოვლენები 9
7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 13
8. სხვა სიახლეები 15
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 17
10. ღირსშესანიშნავი თარიღები 18
11. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 19
12. კონტაქტი 19

იც დაგვანახებს სუსტ მხარეებს და მოგვცემს შესაძლებლობას, ვეძიოთ გზები ოფისის სამომავლო საქმიანობის უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტანდარტების დამკვიდრებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პარლამენტის დადგენილება, რომელშიც სახალხო დამცველის ყველა ძირითადი რეკომენდაცია აისახა და რომელმაც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები დაავალდებულა კონკრეტულ ვადებში წარმოადგინონ ანგარიში მათდამი გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ვფიქრობ, ეს ჩვენი მორიგი წარმატებაა.

ამ ორი თვის განმავლობაში ისევ ვაგრძელებდი მაღალმთიანი რეგიონების მონახულებას. ზემო–სვანეთში, ფშავ–ხევსურეთში შევხვდი სოფლად მცხოვრებ ბევრ მოქალაქეს და პირადად მოვისმინე მათი ძირითადი პრობლემები. საკუთარი თვალით ვნახე ის ძალიან მძიმე ყოფა, რომელშიც ამ ადამიანებს უწევთ ცხოვრება და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მთავრობის მიერ მთიანი რეგიონებისთვის სპეციალური კანონის დროული მომზადების და რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაში. უწყლობა, უშუქობა, უგზოობა, უმუშევრობა, უწამლობა ეს მხოლოდ იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რასაც ეს ადამიანები ყოველდღიურობაში აწყდებიან უკვე წლებია და ვითარება კიდევ უფრო მძიმდება. ჩემთვის ასევე საგანგაშოა მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და ამ ადგილების დაცარიელება, მაშინ როცა მათი უმეტესობა საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგენს. ვშიშობ, ამ ტენდენციის გაგრძელება ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს.

2. მთავარი მოვლენა

2.1. პარლამენტმა სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ მომზადებულ დადგენილებას მხარი დაუჭირა

31 ივლისს საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიშზე დაყრდნობით მომზადებულ დადგენილებას მხარი დაუჭირა.

პლენარული სხდომაზე სახალხო დამცველმა ისაუბრა გასული წლის დადებით და უარყოფით მხარეებზე. უჩა ნანუაშვილმა თავის მოხსენებაში ძირითადი ყურადღება იმ სტრუქტურებზე გაამახვილა, სადაც სახალხო დამცველის რეკომენდაციების შეუსრულებლობა კვლავ პრობლემად რჩება. სახალხო დამცველმა როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე საპარლამენტო უმცირესობის შეკითხვებს გასცა პასუხი.

სახალხო დამცველის ანგარიშზე დაყრდნობით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რითაც გაიზიარა სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართული რეკომენდაციების ნაწილი. მათ შორის, დადგენილების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით, პატიმართა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის დროს თავისუფლებააღკვეთილ პირს განემარტოს ეტაპირების მიზეზი, ასევე განემარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. სამინისტროს სხვა ვალდებულებებთან ერთად, დაეკისრა, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში გამოიყოს ცალკე ოთახი, სადაც სახალხო დამცველის რწმუნებულს მიყურადების გარეშე შეეძლება პატიმრებთან გასაუბრება.

დადგენილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა სახალხო დამცველის რწმუნებულთათვის ხელშეშლის ფაქტების გამოძიება; 2012–13 წლებში ნიგვზიანსა და სამთაწყაროში მომხდარი რელიგიური დაპირისპირების ფაქტებზე გამოძიების დასრულება; 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების ეფექტურად და შემჭიდროვებულ ვადებში გამოძიება. ყურადღება გამახვილდა საქართველოს მოქალაქეების ქვეყნის დატოვების თავისუფლებაზე.

პარლამენტმა საყურადღებოდ მიიჩნია სახალხო დამცველის ინიციატივა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მზადყოფნა გამოთქვა, განაგრძოს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე შესაბამის უწყებებთან და სახალხო დამცველთან.

2012 წლის აგვისტოში, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ რეკომენდაციის თანახმად, საქმის გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად საქართველოს პროკურატურამ უნდა აწარმოოს.

დადგენილებაში აისახა რეკომენდაციები ბავშვთა უფლებების, დევნილების, ეკომიგრანტებისა და რეპატრიანტების შესახებ. საქართველოს პარლამენტმა ასევე მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შექმნას შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტი (შრომის ინსპექცია).

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით

4 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს – უზრუნველყოს მისი უწყებების მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან/და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოში შემოსვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი შემთხვევა შეისწავლა, როცა ადგილი ჰქონდა გადაადგილების თავისუფლების, ან მის საფუძველზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავარაუდო დარღვევას, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.

არაერთი მიმართვის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ წარუდგინა ინფორმაცია, თუ რა სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები გახდა მითითებული მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა შემთხვევები, როდესაც, საქართველოს მოქალაქეებს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეეზღუდათ ქვეყნის დატოვების უფლება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა, საქართველოს მოქალაქე საიხან მუზაევის საქმე, რომელმაც არაერთხელ სცადა ინგლისში გამგზავრება 2014 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში, თუმცა, ის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შს სამინისტროს თანამშრომლებმა არ გაატარეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

3.2. რეკომენდაცია გაეროს „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების შესახებ

9 ივლისი. საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს მიმართა რეკომენდაციით, დაიწყოს გაეროს 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების პროცესი.

სახალხო დამცველს განხილული აქვს უგზო–უკვლოდ გაუჩინარების არაერთი შემთხვევა, რომელთა თაობაზე გამოძიება დღემდე გრძელდება შესაბამის უწყებებში. საქართველოს საგამოძიებო ორგანოები იძიებენ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში ეთნიკურად ოსი პირების უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტებს. დღემდე არცერთ ამ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში, გაუჩინარებულ პირთა საქმეებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში არსებულ ხარვეზებზე ჯერ კიდევ 2010 წელს ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში იყო საუბარი.

3.3. რეკომენდაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბავშვო ბაღების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით

21 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების: ქისტაურის, მატანის და ოჟიოს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების განხორციელების რეკომენდაციით მიმართა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საბავშვო ბაღებში არ არის შექმნილი უსაფრთხო ფიზიკური გარემო, არ არის სათანადოდ დაცული სანიტარულ–ჰიგიენური და კვების ორგანიზაციული წესები, ხელმიუწვდომელია ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლება, არ არის საკმარისი და შესაბამისი სასწავლო–სააღმზრდელო ინვენტარი და ა.შ.

საბავშვო ბაღების შენობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, ეზოები და სათამაშო მოედნები არაკეთილსაიმედოა უსაფრთხოების თვალსაზრისით; არ არის მუდმივი წყალმომარაგების, სავენტილაციო, გათბობის ცენტრალური სისტემები და წყლის რეზერვუარები; არ ხორციელდება ბავშვთა ძალადობისგან დაცვისა და მიმართვიანობის პროცედურები.

3.4. რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოფელ წვირმის საჯარო სკოლასთან დაკავშირებით

23 ივლისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უზრუნველყოს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა ახალი შენობით, რომელიც მორგებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის /სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებზეც, დაინერგოს ინკლუზიური განათლების პროგრამა, განხორციელდეს ფინანსური და სამართლებრივი ღონისძიებები სკოლის უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოსა და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

სკოლის შენობა ავარიულია, საკლასო ოთახები საფრთხის შემცველ პირობებში ფუნქციონირებს. მთელს შენობაში დგას ნესტის მძაფრი სუნი და ზოგი კედელზე წანაზარდის ფორმის სოკოს ნაირსახეობაა გამოსული. არ არის დამონტაჟებული წყალმომარაგებისა და ცენტრალური გათბობის სისტემები. სველი წერტილები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ნორმებს. სკოლაში არ მუშაობს კვების ბლოკი და ექთნის კაბინეტი.

სოფელ წვირმის საჯარო სკოლის მაღალ კლასებში ზოგად განათლებას იღებენ სოფელ იელში მცხოვრები ბავშვებიც. მიუხედავად რთული გეოგრაფიული და კლიმატური მდგომარეობისა, მოსწავლეების ტრანსპორტირება არ ხორციელდება.

3.5. რეკომენდაცია საგარეო საქმეთა მინისტრს ორმაგი მსჯავრდების შესახებ

23 ივლისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს, უფლებამოსილების ფარგლებში მიმართოს თურქეთის რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს საქართველოს მოქალაქე ვ.ი.–ს დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე.

2012 წლის 5 მარტს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორდუში ჩადენილი დანაშაულისათვის მოქალაქე ვ.ი. საქართველოს კანონმდებლობით გაასამართლეს, მოიხადა სასჯელი და გადაიხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა. მიუხედავად ამისა, 2014 წლის 9 აპრილს თურქეთის მხარემ იგი სარფის გამშვებ საზღვარზე დააკავა და ართვინის ციხეში, ხოლო შემდეგ ორდუს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ვ.ი.–ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნის საფუძველზე განახორციელეს. შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკა ვალდებულია აღიაროს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და არ მოახდინოს ერთი და იმავე დანაშაულზე ვ.ი.–ს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ხელმეორედ მიცემა ან/და გასამართლება.

ორმაგი მსჯავრდების აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც აღიარებულია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3.6. რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას სოფელ ჭითაწყარში არსებული ვითარების თაობაზე

24 ივლისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, გაითვალისწინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარის, ონარიის თემში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალური პრობლემები და უზრუნველყოს მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მოსახლეობისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა.

ონარიის დასახლება დაარსდა საბჭოთა პერიოდში და წარმოადგენდა აქ არსებული ჩაის ფაბრიკისა და სხვა რამდენიმე საწარმოს მუშათა ერთგვარ კომპაქტურ დასახლებას, რომელსაც საკუთარი ინფრასტრუქტურა გააჩნდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად საწარმოებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს, მცხოვრებთა დიდი ნაწილი სხვაგან გადავიდა. დაცარიელებული კორპუსები კი აფხაზეთიდან დევნილებმა და უსახლკარო ოჯახებმა თვითნებურად დაიკავეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული ონარია ჩამოყალიბდა – ადგილობრივთა, დევნილთა და ცალკეულ უსახლკარო ოჯახთა ინტეგრირებულ კომპაქტურ ცენტრად.

ამჟამად ონარიის დასახლებაში დაახლოებით 350 ადამიანი ცხოვრობს. ონარიაში არსებული ყველა შენობა, მათ შორის, 31 საცხოვრებელი კორპუსი ამორტიზირებული და საცხოვრებლად საფრთხის შემცველია.

3.7. რეკომენდაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

28 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე გ.ქ.–ს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის რეკომენდაციით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ პაპუნა უგრეხელიძეს.

გ.ქ.–ს 2006 წლიდან საკუთრებაში დარეგისტრირებული ჰქონდა გარდაბნის რაიონში მდებარე ორი მიწის ნაკვეთი. 2010 და 2014 წლებში მან საჯარო რეესტრს მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები წარუდგინა და მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა, ვინაიდან მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

განმცხადებლის განმარტებით, მან აზომა სწორედ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მაგრამ რეესტრმა მისი მიწის ნაწილი სხვას დაურეგისტრირა.

3.8. რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

1 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა. რეკომენდაცია შეეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში მოთავსებულ იმ მსჯავრდებულთა დაწესებულების ტერიტორიაზე დამოუკიდებლად გადაადგილების უფლების რეალიზების უზრუნველყოფას, რომელთაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულება ფორმალურად ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნულ დაწესებულებას პრაქტიკულად არ გააჩნია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პირობები და შესაბამისად, მსჯავრდებულებს დღის საათებში სუფთა ჰაერზე ყოფნის საშუალება არ ეძლევათ.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, მაქსიმალურად მოკლე ვადებში გადაყვანილ იქნან შესაბამის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან თავისუფლების ისეთი ხარისხით, რაც მათთვის გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით.

სახალხო დამცველის სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს ასევე მოუწოდებს, მომავალში არ განხორციელდეს იმ პატიმართა მოთავსება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში, რომელთაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება პარლამენტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე

8 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, გასწორდეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ხარვეზები და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის უფლებებს შორის მკაფიოდ გაიწეროს დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და საშუალებების ქონის უფლება, მათ შორის, საქმის გადადების მოთხოვნის შესაძლებლობა, თუ პირის ხელთ არსებული დრო და საშუალებები არაა საკმარისი დაცვის უფლების განსახორციელებლად.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი რიგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ითვალისწინებს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებას, სამართალდარღვევის ოქმისა და საქმის მასალების მიღებისთანავე. მართალია, ცვლილება ემსახურება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის გაჭიანურების პრაქტიკის აღმოფხვრას, მაგრამ, არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის უფლებას – ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს საქართველოს პარლამენტის წევრების საკანონმდებლო ინიციატივას ადმინისტრაციული პატიმრობის ზედა ზღვარის 90–დან 15 დღემდე შემცირებასთან დაკავშირებით.

4.2. წინადადება მთავარ პროკურორს ჯაბა ანანიძის საქმეზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით

9 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს დაიწყოს გამოძიება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძის მხრიდან ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ განხორციელებული სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე.

8 ივნისს ტელეარხ 25-ის ეთერში ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, გადაიცა ანანიძის საავტორო ფილმი, რომელიც შეეხებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობას. ჟურნალისტის განმარტებით, ფილმის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მას პირად მობილურზე დაუკავშირდა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე, რომელიც ეთერში გასული ფილმის შინაარსის გამო ჟურნალისტს ემუქრებოდა.

სახალხო დამცველის მიმართვის პასუხად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ჟურნალისტსა და მედეა ვასაძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერის და სხვა დამატებითი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად პროკურატურა მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს საგამონაკლისო ნორმებს რომელიც საშუალებას მისცემს საგამოძიებო ორგანოებს უარი თქვან გამოძიების დაწყებაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ადგენს გამოძიების დაწყების მოვალეობას.

4.3. წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველის წარმომადგენლის საქმიანობაში ხელის შეშლასთან დაკავშირებით

14 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალქალაქის პოლიციის განყოფილების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა, რომლებმაც სახალხო დამცველის წარმომადგენელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლის უფლება არ მისცეს.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული არმენ მარანგოზიანი მივიდა ახალქალაქის პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოქალაქე მ.ი.-ს ოჯახის წევრთა ცნობით, მისი მოწმის სახით დაკითხვა მიმდინარეობდა. ახალქალაქის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილის განცხადებით, მ.ი. ადმინისტრაციული წესით დააკავეს და ახალციხის პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. თუმცა, ახალციხის პოლიციის განყოფილების ინფორმაციით, მსგავსი სახელით ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორში არავინ იმყოფებოდა.

არმენ მარანგოზიანი დაბრუნდა ახალქალაქის პოლიციის განყოფილებაში და შესაბამისი რწმუნების საფუძველზე, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაშვება მოითხოვა. პოლიციის მორიგე თანამშრომელმა სახალხო დამცველის წარმომადგენელს დმი-ში შესვლაზე უარი განუცხადა და პოლიციის ტერიტორიის დატოვებაც მოსთხოვა.

საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“.

მისი რწმუნებულის საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ სახალხო დამცველმა **15 ივლისს** პრესკონფერენცია გამართა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მედიის საშუალებებით გაავრცელა განცხადება, რომ თითქოს სახალხო დამცველის ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა და მისი რწმუნებულისათვის სამართალდამცველებს დაბრკოლებები არ შეუქმნიათ. ვინაიდან, მოქალაქე, რომლის სანახავადაც მივიდა სახალხო დამცველის რწმუნებული, პოლიციის შენობაში არ იმყოფებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა დაკავებული პირი დროებითი მოთავსების იზოლატორში, სახალხო დამცველის რწმუნებულს უნდა მისცემოდა პოლიციის განყოფილებაში დაუბრკოლებლად შესვლისა და იზოლატორის ნაწილის მონახულების საშუალება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულდა. შესაბამისად, ადგილი აქვს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ხელის შეშლას.

4.4. წინადადება ფინანსთა სამინისტროს გიორგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით

18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ განხორციელებულ კანონშეუსაბამო მოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს წინადადებით მიმართა და მოითხოვა დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებლის მიმართ.

გამომძიებელმა გააფრთხილა ბრალდებული გიორგი უგულავა, არ გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და არ დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია, რათა მონაწილეობა მიეღო სისხლის სამართლის საქმეზე დაგეგმილ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის, აღკვეთი ღონისძიების შეფარდებაში, თუმცა, პირის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება ექვემდებარება მხოლოდ მოსამართლის, ლეგიტიმურ საფუძველზე დაფუძნებულ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებულ გადაწყვეტილებას.

მოქალაქის თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვის უფლებამოსილება არ გააჩნიათ სამართალდამცავ ორგანოებს ერთპიროვნულად. საქმის გამომძიებელსა და პროკურორს არ აქვთ უფლებამოსილება, განუსაზღვრონ ბრალდებულს თავისუფლების შეზღუდული ფარგლები და დააკისრონ ქვეყანაში ყოფნის ვალდებულება.

4.5. წინადადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

4 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ლევან მურუსიძეს, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ლ.ნ.–ს წინააღმდეგ და განახორციელოს კანონის შესაბამისი რეაგირება, ვინაიდან მან არ შეასრულა მოსამართლის მოვალეობა ჯეროვნად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ლ.ნ.–მ მსჯავრდებული ლ.ჯ. დამნაშავედ ცნო ყაჩაღობის ჩადენისათვის იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის მაშინ, როცა ლ.ჯ. წარსულში ნასამართლევი იყო არა ყაჩაღობის, არამედ სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის გარეშე.

5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო საქმიანობა

5.1. სახალხო დამცველი „სოციალური დახმარების შესახებ“ მთავრობის დადგენილების დებულებებს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს

2 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების იმ დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, რომელიც ბავშვთა რეინტეგრაციის და მინდობით აღზრდის ფინანსურ სუბსიდიებს განსაზღვრავს.

სადავო აქტის მიხედვით, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას რეინტეგრაციის შემწეობა ჯანმრთელი ბავშვისთვის თვეში 90 ლარს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის – 130 ლარს წარმოადგენს. თუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ნაცვლად ბავშვი გადაყვანილი იქნება მინდობით აღსაზრდელად, ანაზღაურება ერთ კალენდარულ დღეზე ჯანმრთელი ბავშვისთვის 15 ლარს (თვეში 450–465 ლარი) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის 20 ლარს (თვეში 600–620 ლარი) წარმოადგენს.

აღნიშნული რეგულირებით ერთი და იგივე მიზნის მისაღწევად – ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის, ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი, მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით, თითქმის ხუთჯერ ნაკლებ თანხას იღებს, რაც უთანასწორო მოპყრობის აშკარა შემთხვევაა და ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს.

ამგვარი სახელმწიფო პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად მეტ სტიმულს აძლევს უცხო ოჯახებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოში აღსაზრდელად, ვიდრე მის ბიოლოგიურ ოჯახს, რომელიც შესაძლოა ზუსტად ფინანსური პრობლემების გამო ამბობდეს ბავშვის აღზრდაზე უარს. ეს, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რაც გამონაკლისი გარემოებების გარდა ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან დატოვებას მოითხოვს, მეორე მხრივ კი უგულებელყოფს ბიოლოგიური მშობლების საჭიროებებს და მათ მიზეზებს ბავშვზე ზრუნვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

5.2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საკონსტიტუციო სასამართლოს

3 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმე ეხება დასაქმებულთა განსხვავებულ მოპყრობას დასაქმების ადგილის მიხედვით. კერძოდ, შრომის კოდექსის მე–14 მუხლი განსაზღვრავს სამუშაო დროის ხანგრძლივობას კვირაში 40 საათით, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც შრომითი რეჟიმი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი უწყვეტი ხანგრძლივობის რეჟიმს – კვირაში 48 საათით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სავალდებულო სამუშაო დროის არათანაბარი განაწილების გამო, გარკვეულ პირთა წრე შედარებით არათანასწორ პირობებში იმყოფება, იმგვარად, რომ მათი სამუშაო გრაფიკი კვირაში 8, თვეში 32, ხოლო წელიწადში 384 საათით აღემატება დანარჩენ დასაქმებულთა სამუშაო დროის ხანგრძლივობას, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. გარდა ამისა, სავალდებულო 48 საათიანი სამუშაო კვირის შემდეგ მათ უწევთ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, ასეთის აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში. აღნიშნული დასაქმებულს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს და დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს უგულებელყოს დასაქმებულის ინტერესები.

5.3. სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ფოტო და ვიდეო გადაღების უფლების მინიჭება მოითხოვა

22 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების თაობაზე. აღნიშნული ცვლილებები ეხება პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ფოტო და ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებას, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებათა დაცვისა და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის ეფექტური გამოძიების თვალსაზრისით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონიტორინგის განხორციელების პროცესში ფოტო და ვიდეო გადაღების პრაქტიკა ევროპის მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს.

5.4. სახალხო დამცველმა პარლამენტს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით მიმართა

1 აგვისტო. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს მისცემს უფლებას, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს უვადო თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლების თხოვნით თავისუფლების აღკვეთის 20 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ მიმართოს. კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციით, მსჯავრდებულებს საბჭოსთვის მიმართვის უფლება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის 25 წლის მოხდის შემდეგ უჩნდებათ.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა წინადადებით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის შემსუბუქების და მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, იმსჯელოს ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადის 15 წლამდე შემცირებაზე, რაც კიდევ უფრო მეტად დაახლოებას მას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან.

5.5. მოსაზრებები და რეკომენდაციები მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას

15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები გადაუგზავნა, იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხოელის საქართველოდან გაძევების, უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესებს შეეხება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა უშვებს პირის დაკავების შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენისას წასწრების შემთხვევაში უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისას. მაშინ, როდესაც უცხოელს ჯერ კიდევ არ აქვს საქართველოს შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართული თავშესაფრის/ლტოლვილის სტატუსის მიღების მოთხოვნით, სავარაუდოდ, პრაქტიკა კვლავ სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებით გაგრძელდება და შემდგომ საქმისწარმოებაც გაგრძელდება სისხლისსამართლებრივი წესით. ამ საკანონმდებლო ხარვეზზე არაერთხელ იქნა ყურადღება გამახვილებული გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლების მიერ.

სახალხო დამცველს აუცილებლობად მიაჩნია, ლტოლვილის სტატუსის/თავშესაფრის პოტენციურ მაძიებელთათვის შესაბამისი მექანიზმის უზრუნველყოფა, რითაც თავიდან იქნება აცილებული ამ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ავტომატურ რეჟიმში დაწყება. მიზანშეწონილია, საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე (მათ შორის, სასაზღვრო პოლიციის მობილური ჯგუფის მიერ პირის დაკავებისას) პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ წერილობითი განაცხადის ფორმა, რისი შევსების შედეგადაც, პირი ავტომატურად აღარ მოექცევა სისხლისსამართლებრივი დევნის რეჟიმში და შესაძლებელი იქნება მისი მოთავსება შესაბამის ლტოლვილთა/თავშესაფრის მაძიებელთა ბანაკის ტიპის დაწესებულებაში.

5.6. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ექსტრადიციასთან დაკავშირებით

15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ყაზახეთის მოქალაქის – ლ. ბ.–ს საქმესთან დაკავშირებით.

ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თბილისში ყაზახეთის მოქალაქე ბ.ლ. დააკავეს. 2014 წლის 5 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დასაშვებად ცნო ბ.ლ.–ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ბ.ლ.–ს და მისი ადვოკატის მტკიცებით, ეროვნებით ჩეჩენი ბ.ლ.–ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ყაზახეთის რესპუბლიკაში ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე ხორციელდება და ექსტრადირების შემთხვევაში იგი დაექვემდებარება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას. ასევე, არსებობს მისი სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხეც.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბ.ლ.–ს ექსტრადიციის საკითხზე სამართალწარმოება უნდა განახორციელოს საქართველოს უზენაესი კანონის და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი პრინციპების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლების – წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის რეალიზაცია.

6. ივლის-აგვისტოს მნიშვნელოვანი მოვლენები

6.1. სახალხო დამცველის განცხადება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

3 ივლისი. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ და იმედოვნებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ქსენოფობიისა და რასიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება არამხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოში.

საქართველომ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2007 წლის 26 მარტს შეიტანა. რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაცია ათასობით ეთნიკურ ქართველს შეეხო.

შვიდწლიანი განხილვის შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წელს ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებით, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა კოორდინირებულ პოლიტიკას ქართველების წინააღმდეგ დაკავებისას, დაპატიმრებისას და მასობრივად ქვეყნიდან გაძევებისას. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეოთხე ოქმის მეოთხე მუხლის დარღვევას, რომელიც კრძალავს უცხოელთა კოლექტიურ გაძევებას. ასევე დაკავებისა და დაპატიმრების დროს ქართველები დამამცირებელ და არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ და არ იყვნენ უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებებით, რითაც რუსეთის ფედერაციამ ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 და მე-13 მუხლები დაარღვია.

6.2. განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოსთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

5 ივლისს სახალხო დამცველმა განცხადება გააკეთა 4 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, გიორგი უგულავას სასამართლოში პირველი წარდგენის შემდეგ მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და ამ პროცესში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სახალხო დამცველის განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაკავებულთა ოჯახის წევრებისათვის ფაქტობრივად მთელი ღამის განმავლობაში უცნობი იყო თუ რომელ იზოლატორებში იყვნენ გადაყვანილი დაკავებულები, რაც კანონის მოთხოვნათა დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაესაუბრნენ დაკავებულ ლაშა რუხაიას, რომელსაც საავადმყოფოში ტვინის შერყევა დაუდგინდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის ლაშა რუხაიას დაკავების თაობაზე ყველა გარემოებას, მათ შორის, რამდენად მიზანშეწონილი იყო მისი გადაყვანა ღუდუშაურის საავადმყოფოდან დროებითი მოთავსების იზოლატორში.

6.3. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გიორგი უგულავა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულეს

5 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ბრალდებული გიორგი უგულავა სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში მოინახულეს. ბრალდებული განმარტოებით იყო მოთავსებული დაწესებულების საკარანტინო ნაწილში. ბრალდებული უარს აცხადებდა საკვების მიღებაზე და ითხოვდა სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში გადაყვანას, ვინაიდან N8 დაწესებულებაში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა. სახალხო დამცველის რწმუნებულები გიორგი უგულავას გადაყვანის საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორის მოადგილეს, რომელმაც თავის მხრივ დაადასტურა ბრალდებულის N9 დაწესებულებაში გადაყვანის აუცილებლობა. 6 ივლისს, გამთენიისას გიორგი უგულავა სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

6.4. სახალხო დამცველის მოადგილემ გაეროში შეხვედრები გამართა

7-25 ივლისს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 111-ე სესიაზე საქართველოს მე-4 პერიოდული ანგარიში განიხილა. ანგარიში მიმოიხილავს გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის იმპლემენტაციისთვის საქართველოს მიერ საკანონმდებლო და პრაქტიკული თვალსაზრისით გადადგმულ ნაბიჯებს.

სესიაზე დასასწრებად ჟენევაში ჩასულმა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ შეხვედრები გამართა კომიტეტის წევრებთან, სადაც ყურადღება გაამახვილა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე, დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, სიცოცხლის უფლებაზე, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე, გადაადგილების თავისუფლებასა და დევნილთა უფლებებზე, რელიგიის თავისუფლებაზე, გამოხატვის, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებასა და ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე.

30 ივნისიდან - 18 ივლისის ჩათვლით, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტმა 58-ე სესიაზე განიხილა საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიში ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კომიტეტის წევრებთან შეხვედრისას საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, მათ შრომით უფლებებზე, ქალთა ძალადობის ფაქტებსა და ადრეული ქორწინების შემთხვევებზე ისაუბრა.

6.5. სახალხო დამცველის განცხადება თომას ჰამარბერგის დასკვნითი რეკომენდაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

10 ივლისი. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოში საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის მიერ მომზადებული დასკვნითი რეკომენდაციების გამოქვეყნებას.

რეკომენდაციები შეეხება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც სახალხო დამცველის შეფასებით ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა: ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განუხრელი შესრულება და მონიტორინგი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მათ შორის ინდივიდუალურ მოსამართლეთა როლის გაძლიერება, სამართალდამცავ სტრუქტურებში პროფესიონალიზმის გაზრდა, საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის შექმნა, წინა წლებში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიება და დაზარალებულთა კომპენსაცია, ყველა სახის ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო კამპანიის წამოწყება, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გაძლიერება, შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ინსპექციის შექმნა და სხვა.

თომას ჰამარბერგის მისიის განხორციელება საქართველოში შესაძლებელი გახდა ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით.

6.6. განცხადება ტელეკომპანია GDS-ის ეთერში გასული სექსისტური ჩანაწერის შესახებ

11 ივლისს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „ბინა 18–ში“ გამართული შოუს გამო, რა დროსაც მუსიკოსმა ქალის სხეული მუსიკალურ ინსტრუმენტად გამოიყენა. სახალხო დამცველი ამ ქმედებას შეურაცხმყოფელ და ღირსების შემლახველად მიიჩნევს მონაწილე ქალებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. ქალის ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისათვის საქართველოში.

მედია საშუალებების უზარმაზარი გავლენისა და როლის გათვალისწინებით საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში, მნიშვნელოვანია გავრცელებული ინფორმაცია არ იწვევდეს საზოგადოებაში სტერეოტიპების გაძლიერებას და არ შეიცავდეს ძალადობის წამახალისებელი და ქალის ობიექტივიზაციისაკენ მოწოდებებს.

სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა მედია საშუალებას, გაითვალისწინონ საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მდგომარეობა, ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი და უთანასწორო მოპყრობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას ქალთა შეურაცხმყოფელი კუთხით წარმოჩინების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და შეწყვიტონ სექსიზმის ტირაჟირება.

6.7. სახალხო დამცველი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

18 ივლისს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ტოივო კლაარს შეხვდა. შეხვედრის მიზანი სადამკვირვებლო მისიასთან კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება იყო. უჩა ნანუაშვილმა და ტოივო კლაარსმა განიხილეს მოქალაქეთა ხშირი დაკავებები გამყოფ ხაზზე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა და უსაფრთხოების საკითხები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა აუცილებელ ზომას უნდა მიმართოს გალში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების აღსადგენად, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა აფხაზეთის გამყოფ ხაზსა და გალის რაიონის მოსახლეობის უსაფრთხოების გაუმჯობესებაში.

6.8. ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2013 წელი

17 ივლისს სახალხო დამცველმა პარლამეტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში 2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო ანგარიში წარმოადგინა. 7 საათიან განხილვას საქართველოს პარლამეტის წევრები, მთავრობის მაღალჩინოსნები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სახალხო დამცველმა 2013 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოკვეთილ ტენდენციებზე ისაუბრა. მოკლედ მიმოიხილა საპარლამენტო ანგარიშის თემატიკა, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, საერთაშორისო კონვენციათა რატიფიკაციის დადებით ტენდენციაზე. აღნიშნა, რომ 2013 წელი ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ბევრი სერიოზული პრობლემაც დარჩა, რომელთა გადაჭრის აუცილებლობას სახალხო დამცველი და მისი აპარატი რეკომენდაციებისა და წინადადებების მეშვეობით მუდმივად ახსენებს ხელისუფლებას.

სახალხო დამცველის გამოსვლის შემდეგ კომიტეტში მოწვეულმა მთავრობის წევრებმა სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინეს, რის შემდეგაც სხდომა კითხვა–პასუხის რეჟიმში გაიმართა. აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია, დანარჩენზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. 2013 წლის მსგავსად, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი მოამზადებს სპეციალურ დადგენილებას, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშთან დაკავშირებით.

6.9. სახალხო დამცველმა სომხურ ეკლესიასთან მომხდარი ინციდენტის ადეკვატური გამოძიება მოითხოვა

22 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცველებს ზედმიწევნით, ზუსტად და ეფექტურად გამოიძიონ **19 ივლისს,** თბილისის „სურბ ეჩმიაძინ“-ის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანთა ორ ჯგუფს შორის მომხდარი დაპირისპირება.

თვითმხილველთა გამოკითხვებით და ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალის შესწავლით იკვეთება, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხულიგნობას, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ჯანმრთელობის დაზიანებას თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებებს.

ქვეყანაში არსებული ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობის ფონზე, რაც შეიძლება სწრაფად, დამაჯერებლად და ამომწურავად უნდა გაეცეს პასუხი „სურბ ეჩმიაძინ“-ის ეკლესიის ეზოში მომხდარ

შეხვედრა „ქორთიარდ მერიოტში"

ინციდენტს. მითუმეტეს, რომ ფაქტს სოციალურ ქსელებსა და მედიასაშუალებებში საგანგაშო ურთიერთ შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური გამოხმაურება მოჰყვა. სახალხო დამცველის განცხადებით, ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და მედიამ არ უნდა დაუშვას ქვეყანაში შეუწყნარებლობის ახალი ტალღის აგორება.

6.10. განცხადება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ

23 ივლისი. საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელის კლების გამო.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობამ მხოლოდ 11,1% შეადგინა; მინისტრთა კაბინეტში ქალთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი კი 21%-დან 16%-მდე შემცირდა. სახალხო დამცველის განცხადებით, რთულია ვისაუბროთ სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებაზე, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 53%-ს ქალები შეადგენენ, მაგრამ მათი ხმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 20%-მდეც ვერ აღწევს.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გენდერული მეინსტრიმინგის საკითხს მათ უწყებებში, ასევე, დანერგონ ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად თანამდებობრივი დაწინაურების, კარიერული ზრდისა და წახალისების განაწილების გამჭვირვალე პროცედურები. ასევე გარდაუვლად მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა სპეციალური დროებითი მექანიზმების შემუშავებაზე, რაც საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ უთანასწორო მდგომარეობას.

6.11. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე „ამბასადორიალ 2014" -ზე სიტყვით გამოვიდა

5 აგვისტოს სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ საზღვარგარეთ მოღვაწე დიპლომატებთან 2013 წელს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული დადებითი ტენდენციები და გამოწვევები მიმოიხილა.

სახალხო დამცველის მოადგილემ ისაუბრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებულ კანონზე, რომლის აღსრულებაც სახალხო დამცველის აპარატს დაეკისრა; ყურადღება გაამახვილა ეფექტური საგამოძიებო ორგანოს შექმნაზე, რომელმაც სამართალდამცველთა მხრიდან შესაძლო დანაშაულებების გამოძიებაზე უნდა იმუშაოს. ხაზი გაუსვა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გახშირებას და მსგავსი შემთხვევების პრევენციისათვის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას.

ამბასადორიალზე გაჟღერებული რეკომენდაციების უმრავლესობა, მხარდაჭერილია ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელის, თომას ჰამარბერგის მიერ.

6.12. განცხადება პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

18 აგვისტო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 დაწესებულების მსჯავრდებული ჯიდო ფირცხელიანი ყელის არეში მიყენებული დაზიანებით საპირფარეშოში თანამესაკნეებმა იპოვეს. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა დაიცვას პატიმარ-

თა სიცოცხლე და პირადი უსაფრთხოება. ამდენად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, იყო თუ არა მიღებული ყველა გონივრული ზომა მსჯავრდებულ ჯიდო ფირცხელიანის სიცოცხლის დასაცავად. ამასთან, გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვების გამორიცხვის მიზნით, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო მოქმედებები უშუალოდ საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს.

6.13. განცხადება ეკომიგრანტთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების შესახებ

21 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საქართველოს სახალხო დამცველის მონაწილეობით „სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია“ შეიკრიბა.

კომისიის სხდომის მიზანი 2014 წლის 30 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების მიერ შევსებული „საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადების“ საფუძველზე მინიჭებული წინასწარი სარეიტინგო ქულებით, ოჯახების თანმიმდევრობის დადგენა იყო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭოს ოჯახებს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები დაენგრათ ან განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.

6.14. სახალხო დამცველმა გიორგი ცომაიას საქმის შესწავლა დაიწყო

27 აგვისტო. საქართველოს სახალხო დამცველს მოქალაქე გიორგი ცომაიას მიმართ პოლიციელების მხრიდან შესაძლო ცემის ფაქტის შესწავლის თხოვნით მიმართა ადამიანის უფლებათა ცენტრმა. გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში ბრალდებული გიორგი ცომაია მოინახულა. ცომაიამ დაადასტურა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოდგენილ გარემოებათა უტყუარობა.

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ცომაიას საქმეში არსებული ფაქტების ურთიერთშეჯერების შედეგად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას. მოცემულ ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს აწარმოონ ეფექტიანი გამოძიება გიორგი ცომაიას მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე.

7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა

7.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო შეხვედრა

30 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებმა ქობულეთში სამუშაო შეხვედრა გამართეს.

გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი მარი ამოსის ხელმძღვანელობით მიმდინარე ღონისძიებაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მომზადებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერების მიზნით დაგეგმილი აქტივობები განიხილეს.

შემუშავებული სახელმძღვანელოსა და ინსტრუმენტების პილოტირების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებმა 1 ივლისს ბათუმის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულება მოინახულეს.

შეხვედრა ორგანიზებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

7.2. პროექტის პრეზენტაცია სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონულ ოფისში

3 ივლისს სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისში ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეგრელო–ზემო სვანეთში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“, პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის მიზანია რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლა და ინფორმირებულობის დონის გაზრდა სახალხო დამცველის მანდატისა და უფლებამოსილების შესახებ; აგრეთვე კონკრეტული საქმეების მოძიება, მათი შესწავლა და უფლებამოსილების ფარგლებში მათზე რეაგირება. 6 თვიანი პროექტის განხორციელებაზე იმუშავებს პროექტის კოორდინატორი და სამი საკონტაქტო პირი მესტიის, გალის და ფოთის სამიზნე არეალში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე, ბულგარეთის რეს-პუბლიკის ელჩი პლამენ ბონჩევი, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის და სამხარეო ადმინ-ისტრაციის წარმომადგენლები. აგრეთვე ზუგდიდში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგა-ნიზაციების ხელმძღვანელები.

7.3. სკოლამდელი ასაკის არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა სიღნაღის მუნიციპალიტეტში

18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა აღსაზრდელთა უფ-ლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სიღ-ნაღის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი სააღმზრ-დელო დაწესებულებები შეამოწმა.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სოფელ ბოდბისხ-ევის N9 საბავშვო ბაგა–ბაღი ავარიულ და აღსაზ-რდელებისათვის საფრთხის შემცველ შენობაშია განთავსებული; არ მუშაობს სველი წერტილები, არ არის ექთნის კაბინეტი; სავალალო მდგომარეობა-შია სამზარეულო. აღსაზრდელთა რაოდენობასა და საჭიროებებს არ შეესაბამება სასწავლო–სააღმზრ-დელო ინვენტარი და შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალა. დაწესებულება ვერცერთი პარამეტრით ვერ პასუხობს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს.

კეთილსაიმედო და დამაკმაყოფილებელი ფიზიკური გარემოა სოფელ ბოდბისხევის N10 საბავშვო ბაღში.

სოფელ მაღაროს საბავშვო ბაღის შენობას უტარდე-ბა სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები, თუმცა ამ დროისათვის სამუშაოები შეჩერებულია ფინანსური დაბრკოლების გამო.

პრობლემურ საკითხად რჩება ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ფიზიკური გარემო და სასწავლო–სააღმზრდელო პირობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური სა-განმანათლებლო საჭიროებების მქონე აღსაზრ-დელებისათვის.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროე-ბების შესახებ სახალხო დამცველის აპარატში მიმ-დინარეობს საქმისწარმოება და იგეგმება შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება.

7.4. შეხვედრა ერგნეთში

23 ივლისს სახალხო დამცველის წარმომადგენელი შიდა ქართლში ნინო დალაქიშვილი გორის მუნიც-იპალიტეტის სოფელ ერგნეთის მოსახლეობას შეხ-ვდა და მათი პრობლემები მოისმინა. კონფლიქტის ზონის სოფლებს არ გააჩნიათ სპეციალური სტატუ-სი, დღემდე არ არის ლიკვიდირებული ომის დროინ-დელი ზარალი, ამას ემატება უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი და სარწყავი წყლის დეფიციტი, რაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამი-ანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შეხვედრა ერგნეთის მოსახლეობასთან

შეხვედრაზე ისაუბრეს სუბსიდირების შესახებ, გან-საკუთრებით მეორადი ხარისხის ხილისთვის; გა-ნიხილეს ელექტროენერგიის მრიცხველების თემა. ერგნეთში დღემდე 40 წლის წინ გაყვანილ სადენ-ებს იყენებენ და არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები; ასევე ისაუბრეს სოფლის გაზიფიცირების საკითხზე, რომლის დაწყებაც იგეგმება.

7.5. სახალხო დამცველი ხაიშისა და მესტიის მოსახლეობას შეხვდა

25 ივლისს სახალხო დამცველი ხაიშის მოსახლეო-ბას შეხვდა. განიხილეს ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი, საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნი-ლი რეკომენდაცია და მოსახლეობისათვის აქტუ-ალური სხვა პრობლემები. მოსახლეობას ასევე დაურიგდა საკუთრების და ჯანსაღ გარემოში ცხ-ოვრების უფლების შესახებ სპეციალური ბუკლეტე-ბი, სადაც ამ უფლებების რეალიზაციის კონკრეტუ-ლი პროცედურებია განმარტებული.

შეხვედრა ხაიშის მოსახლეობასთან

26 ივლისს სახალხო დამცველმა შეხვედრა გამართა დაბა მესტიაში ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, რომლებიც გიგანტური ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი არიან და სახალხო დამცველს ხუდონჰესის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებასთან მედიატორობა სთხოვეს.

შეხვედრაზე დაისვა სვანური ენის და კულტურის შენარჩუნების საკითხი, საკუთრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ჯანდაცვის სისტემის ხარვეზები, განათლების სფეროში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები და სხვა. ისაუბრეს ე.წ. „მთის კანონის“ მიღების აუცილებლობაზე, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების მოგვარების და რეგიონის მოსახლეობისგან დაცლის შეჩერებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

7.6. სახალხო დამცველი ფშავ–ხევსურეთის მოსახლეობას შეხვდა

31 ივლისს სახალხო დამცველმა შეხვედრები გამართა ჩარგალში, ბარისახოსა და შატილში, სადაც მოსახლეობის ძირითად პრობლემას დანგრეული გზები, რთულად ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, კომუნიკაციების გაუმართავობა და უმუშევრობა წარმოადგენს. შატილში უკვე რამდენიმე წელია აღარ დაფრინავს ვერტმფრენი, რის გამოც ზამთრის პერიოდში ხევსურეთი მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს.

შეხვედრა შატილში

ფშავში არ არის აფთიაქი, ერთი ამბულატორია 17 სოფელს ემსახურება, ექიმი კი უგზოობის გამო, ზოგიერთ სოფელში მისვლას ვერ ახერხებს. ამორტიზებულ მდგომარეობაშია ბარისახოს საჯარო სკოლის შენობა, არ არის შესაბამისი ინვენტარი. სარემონტოა ჩარგალში არსებული მუზეუმი.

რიგ სოფლებს არ მიეწოდება ელექტროენერგია, პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყალი, კვირაობით ვერ ხერხდება ნაგვის გატანა. არ არის ინტერნეტი, გაზიფიცირება. სოფლები თანდათანობით იცლება.

სახალხო დამცველი მიმართავს ჯანდაცვის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებს დაინტერესდნენ ფშავ–ხევსურეთში არსებული მდგომარეობით.

8. სხვა სიახლეები

8.1. საქართველოს სახალხო დამცველი ინგუშეთის რესპუბლიკის ომბუდსმენს შეხვდა

9 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველი თბილისში ვიზიტით მყოფ ინგუშეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველს (ომბუდსმენს) ჯამბულატ ოზდოევს შეხვდა. საუბარი შეეხო საქართველოსა და ინგუშეთში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე მდგარი საკითხების განხილვას. ომბუდსმენებმა ასევე, ისაუბრეს შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივასა და გამოცდილების გაზიარების გზებზე.

8.2. ტრენინგი გენდერულ ასპექტებსა და დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით

10–14 ივლისს, ქობულეთში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის გამართა ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების გენდერული ასპექტები და დაცვის მექანიზმები“.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა შესაძლებლობის გაძლიერებას ბავშვთა, შშმ პირთა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა პრობლემებზე მუშაობისას გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებისათვის.

8.3. დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევის პრეზენტაცია

14-15 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაბერების თემაზე მომუშავე მულტისექტორული სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

შეხვედრა დაბერების მეინსტრიმინგთან დაკავშირებით

ღონისძიებაზე გაეროს ეკონომიკური საბჭოს (UNECE) მიერ შემუშავებული დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევი წარმოადგინეს. დაისახა სამოქმედო გეგმა, რათა დაცული იქნას უფროსი ასაკის ადამიანების უფლებები და უზრუნველყოფილი იქნას მათი ღირსეული სიბერე.

8.4. ვიზიტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

15 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ოსი მოსახლეობით დასახლებული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლები — არაშფერანი, ფონა და ბოლქვი მოინახულეს. ამ სოფლებში ოსური ენის სწავლების აღდგენასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მაისში მიმართა რეკომენდაციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ოსური ენის სწავლებასთან ერთად, საყოფაცხოვრებო პრობლემებიც გამოიკვეთა, მათ შორის, სასმელი წყლის არ ქონა, საბავშვო ბაღის სიშორე და დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ტრანსპორტის მოუქნელი გრაფიკი.

8.5. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს განცხადება

25 ივლისს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ განცხადება გააკეთა 18 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „სხვა შუადღეში“ ჟურნალისტ დიმიტრი ობოლაძის შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამო, სადაც მან მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი თვითმფრინავის ავიაკატასტროფის დეტალებზე საუბრისას ღორებად მოიხსენია რუსეთი, რუსი ხალხი და ყველა რუსი.

მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ობოლაძემ 23 ივლისს საჯაროდ მოიხადა ბოდიში, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო კიდევ ერთხელ მიუწოდებს მედიასაშუალებებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს და საჯარო პირებს, თავი შეიკავონ ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით ადამიანების შეურაცხყოფისაგან და მედიასაშუალებებში შუღლის ენის ტირაჟირებისგან.

8.6. სემინარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მსმენელებისთვის

26 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსმა ნათია ფირაშვილმა და ცენტრის იურისტმა ირინა ობოლაძემ შსს-ს აკადემიის მსმენელებისთვის ჩაატარეს ერთდღიანი სემინარი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“.

სემინარზე განიხილეს შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხი საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის მიხედვით; ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა და გაიმართა დისკუსია.

8.7. ტრენინგი უბნის ინსპექტორებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე

5 ივლისიდან- 5 აგვისტომდე სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, უბნის ინსპექტორებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგი გამართა.

ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, უბნის ინსპექტორთა როლი და უფლებამოსილება გაფართოვდა ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე. ტრენინგების ფარგლებში მომზადდა 92 უბნის ინსპექტორი თბილისიდან და 452 მთელი საქართველოს მასშტაბით.

8.8. სემინარი ბავშვთა უფლებებზე

10 აგვისტოს, კაჭრეთში სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსმა მაია გედევანიშვილმა მონაწილეობა მიიღო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და იუნისეფის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელზეც ბავშვის უფლებების დაცვის საკანონმდებლო ინიციატივებისა და საქმიანობის მხრივ მიღწეული პროგრესი და გამოწვევები განიხილეს.

8.9. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება

13 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრმა რელიგიურმა გაერთიანებებმა, შეშფოთება გამოთქვეს ერაყში ტერორისტული დაჯგუფების (ISIS) მიერ მშვიდობიან ეზიდ მოსახლეობაზე ძალადობის, მათი დევნისა და ფიზიკური განადგურების გამო.

რელიგიათა საბჭოს წევრებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ეზიდ ხალხს და მოუწოდეს მსოფლიო რელიგიურ გაერთიანებებს, საერთაშორისო თანამეგობრობას და მთავრობებს დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა საჭირო ზომა ეზიდი მოსახლეობის გადასარჩენად, მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის უმოკლეს დროში აღსაკვეთად.

8.10. სახალხო დამცველი პანკისის ხეობის მოსახლეობას შეხვდა

სახალხო დამცველი და სახალხო დამცველთან არსებული ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან 2012 წლის 28-29 აგვისტოს განხორციელებული სპეცოპერაციის ფაქტების დამდგენი საზოგადოებრივი საბჭოს წევრები **27 აგვისტოს** პანკისის ხეობაში სოფელ დუისში შეხვდნენ პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს, ხეობის მოსახლეობას და სპეცოპერაციის დროს დაღუპული ქისტების ოჯახების წევრებს.

სახალხო დამცველმა და საბჭოს წევრებმა მოსახლეობას გაწეული საქმიანობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. შეხვედრის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს გამოძიების გაჭიანურების გამო. პანკისის ხეობის მოსახლეობა თვლის, რომ გარდაცვლილი ქისტი ახალგაზრდები უსამართლოდ მოიხსენებიან ტერორისტებად. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები გარდაცვლილთა ცხედრების ექსჰუმაციის დასკვნის გადაცემას ითხოვენ.

სახალხო დამცველმა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილების მიუხედავად საქმეს კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილი იძიებს, და კვლავ დგას გამოძიების ინსტიტუციური ქვემდებარეობის საკითხი. ასევე, კვლავ პრობლემატურია დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. პარლამენტის დადგენილებით ლაფანყურის საქმის გამოძიება საქართველოს პროკურატურას უნდა ეწარმოებინა.

საზოგადოებრივმა საბჭომ მოიძია დეტალური ინფორმაცია სპეცოპერაციასთან დაკავშირებით და ახსნა–განმარტება მიიღო არაერთი პირისგან. დეტალურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ საბჭო წარუდგენს საგამოძიებო ორგანოებს და საზოგადოებას უახლოეს პერიოდში.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. გაეროს ორმა სახელშეკრულებო ორგანომ საქართველოსთან დაკავშირებით დასკვნითი შენიშვნები გამოაქვეყნა

18 და 24 ივლისს საქართველოს მიერ წარდგენილ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით დასკვნითი შენიშვნები გამოაქვეყნა გაეროს ორმა სახელშეკრულებო ორგანომ - ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა.

ძირითად მიღწევებს შორის გაეროს ორივე სახელშეკრულებო ორგანომ მიუთითა 2014 წლის 2 მაისს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება და აღნიშნა, რომ კანონის იმპლემენტაციასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყება საქართველოს სახალხო დამცველია. ამასთან, კომიტეტებმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, კანონის ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, გაზრდილი ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოს საქართველოს სახალხო დამცველი; ასევე, სახალხო დამცველის ოფისს მიანიჭოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მონიტორინგის პროცესში სავალდებულო ძალის მქონე მოსაზრებების გამოცემისა და სამართალწარმოების დაწყების უფლება-მოსილება.

მიმართულებებს შორის, სადაც სახელმწიფო ვალდებულია ძალისხმევა გააძლიეროს, ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს იმ ძირითად სფეროებს და მიმართულებებს, რაც წლების მანძილზე წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის წუხილის საგანს. კერძოდ, კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს გენდერულ იდენტობასა და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ჩადენილ დისკრიმინაციის შემთხვევებს. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, პატრიარქალურ სტერეოტიპებთან და დამოკიდებულებებთან ბრძოლის მიზნით შეიმუშავოს სტრატეგია და მიიღოს ზომები გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, მათ შორის, მთავრობასა და პარლამენტში, ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად. კომიტეტი წუხილს გამოხატავს რელიგიურ უმცირესობათა მიმართ შეუწყნარებლობის და ძალადობის ფაქტების გამოც. კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მკაცრად დაგმოს ნებისმიერი სახის ძალადობა ან სიძულვილის ენის გამოყენება რელიგიური ჯგუფების მიმართ და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით მოახდინოს ადამიანის უფლებების სტიმულირება და განსხვავებულობის შემწყნარებლობა.

დასკვნით შენიშვნებში მითითებული რეკომენდაციების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობამ ინფორმაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტს ორი წლის, ხოლო ადამიანის უფლებათა კომიტეტს ერთი წლის ვადაში უნდა წარუდგინოს.

9.2. იზეთ აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ

15 ივლისს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში „იზეთ აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციას ახდენს, არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

საქართველოს მოქალაქე, აჭარის მკვიდრი იზეთ აშლარბა 2007 წლის 27 მარტს დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223(1) მუხლის საფუძველზე (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აშლარბას კანონიერ ქურდ ა.კ-სგან იღებდა რეგულარულ მითითებებს, მონაწილეობადა ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვებაში და სარგებლობდა კრიმინალური ავტორიტეტის სახელით.

იზეთ აშლარბა ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტი, რადგან კანონი, რომლითაც ის გაასამართლეს და დამნაშავედ სცნეს, არ იყო საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი, რათა განესაზღვრა, თუ რა ტიპის ქმედება შეიძლება მიჩნეულიყო კრიმინალური სამყაროს წევრობად და, შესაბამისად, დასჯადად.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდობა“ და კრიმინალური სუბკულტურის მომიჯნავე ტერმინები ქართულ საზოგადოებაში იმდენად ფესვგადგმულ ცნებებს წარმოადგენდა, რომ აღნიშნულის შესახებ საზოგადოების წევრებს ჰქონდათ სათანადო ცოდნა. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223(1) მუხლი 2005 წელს მიღებული ფართო საკანონმდებლო პაკეტის ნაწილი იყო, რომელიც, საერთო ჯამში, შეიცავდა „ქურდული სამყაროსა“ და „კანონიერი ქურდის“ დეტალურ განმარტებას.

სასამართლოს აზრით, ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობისთვის დასჯა, იყო ისეთი კონცეფციების კრიმინალიზება, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილი, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონთან ერთობლიობაში, საკმარისად მკაფიოდ განსაზღვრავდა ქურდული სამყაროს წევრობის, როგორც დანაშაულის შინაარსს და საკმარისად იყო განჭვრეტადი იმისთვის, რომ ინდივიდებს ზუსტად სცოდნოდათ, რა შედეგებს გამოიწვევდა ქურდული სამყაროს წევრობა.

შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას.

10. ღირსშესანიშნავი თარიღები

10.1. სახალხო დამცველის განცხადება იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

30 აგვისტო იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღეა. საქართველოს სახალხო დამცველი პატივს მიაგებს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხსოვნას, უსამძიმრებს მათ ოჯახებსა და ახლობლებს და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ასევე, დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, არსებითად ითანამშრომლონ გაუჩინარებულთა მოძიებისა და მათი ოჯახების დახმარების მიზნით.

იძულებითი გაუჩინარება საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუტისა და გაეროს „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის თანახმად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება.

საქართველოში გაუჩინარებულთა პრობლემა მტკივნეულად დგას და ძირითადად შეიარაღებულ კონფლიქტებს უკავშირდება. 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად 1500-მდე ქართველი, 200-მდე აფხაზი და 100-მდე ოსი მოქალაქე, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ, 6 ოსი და 35 ქართველი ითვლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულად.

2013 წლის 20 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, აწარმოოს ეფექტიანი და ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები გაუჩინარებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო იმ ფაქტებზე, რომლებზეც გამოძიება ჯერ არ დაწყებულა, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიშზე დაყრდნობით მომზადებულ დადგენილებაში პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციები საქართველოს მთავარი პროკურატურისადმი, სწრაფად და ეფექტურად გამოიძიოს 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს და შემდგომ პერიოდში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულთა საქმეები, მათ შორის, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეები. ასევე, პარლამენტმა რეკომენდაციით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაიწყოს გაეროს „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ 2006 წლის 20 დეკემბრის კონვენციის რატიფიცირების პროცესი.

11. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

11.1. კონკურსი რეგიონული მედიის ჟურნალისტებისთვის

11 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გამოაცხადა კონკურსი რეგიონული მედიის ჟურნალისტებისთვის თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები“.

კონკურსი ორგანიზებულია სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის მიერ, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

რეგიონულ ტელევიზიაში, რადიოში, ბეჭდვით და ონლაინ გამოცემებში მომუშავე ჟურნალისტებმა/ბლოგერებმა 30 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ სტატია ან სიუჟეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებებსა და მდგომარეობაზე, რომელიც რეგიონულ მედიაში გამოქვეყნდა ან ეთერში გავიდა/გავა 2014 წლის 1 იანვრიდან 20 სექტემბრამდე.

საკონკურსო მასალებს შეაფასებს სახალხო დამცველის მიერ მოწვეული სპეციალური კომისია. გამოვლინდება თითო გამარჯვებული ტელე, რადიო, ბეჭდურ და ონლაინ მედიაში.

11.2. ვაკანსია

22 აგვისტოდან სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი. **29 აგვისტოს** გამოცხადდა **ვაკანსია დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე.**

11.3. სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის სტატისტიკა

ივლისსა და აგვისტოს თვეში 1348 შემოვიდა განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 1242 განცხადება დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 413
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 383
- რეგიონალური სამმართველო – 270
- ბავშვთა ცენტრი – 105
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 15
- შშმ პირთა ცენტრი – 33
- ანალიტიკური დეპარტამენტი–23



12. კონტაქტი

თბილისი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:

კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:

ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:

სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:

რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე